საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 18

2012 წ. "26" 01.

ქ. თბილისი

,,შპს - წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 13 დეკემბრის №398 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ,,შპს - წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 13 დეკემბრის №398 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
,,2. შპს - წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიან სკოლა-კოლეჯს მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 263-ით. მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 100-ით."
2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 26 იანვრის №3 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
კახი ყურაშვილი

მდივანი
გაიანე სიმონია